ხელშეკრულება №446/18-9
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ზუგდიდი ,,--27--,,----08----„ 2018 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

შპს „ენგურჰესი“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი - დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის - ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად ერთის მხრივ და

შპს „სამშენებლო კომპანია ენგური +“, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის - გიზო არონიას სახით, მეორეს მხრივ ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, შპს ,,ენგურჰესის" მიერ 2018 წელს განსახორციელებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვების ბიზნეს-გეგმის თანახმად წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. "შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

2.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ,,შემსყიდველი" ავალებს, ხოლო ,,მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საკუთრებაში – დანართ N1-ში მითითებული დასახელებისა და ოდენობის საქონელი

3.2. კლასიფიკატორის კოდი: (CVP- 14210000).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს : 1450.28 (ათას ოთხას ორმოცდაათი ლარი და 28 თეთრი) ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება.

6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს: შპს ,,ენგურჰესი"-ს თ/კაშხლის დეპარტამენტის შესყიდვების სპეციალისტი - ბ. მებონია.

6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით. მიღება-ჩაბარების აქტს ადგენს მუდმივმოქმედი კომისია, საქონლის საბოლოო მიღების ადგილზე, შპს "ენგურჰესი"-ს თ/კაშხლის სასაწყობე მეურნეობაში.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა -უნაღდო.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. ხელშეკრულების პირობების შესრულება

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

13.2 ხელშეკრულებების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 7 ოქტომბრამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებისა და დაუდევრობისაგან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს- მაჟორული გარემოება. დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს მეორე კი შემსყიდველს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
შპს "ენგურჰესი"
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.
ა. პოლიტკოვსკაიას №8
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
B/CUGEBGE22 ს/კ 251716371
ა/ა GE97VT0600000003403403
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

"მიმწოდებელი"
შპს „სამშენებლო კომპანია ენგური +"
იურიდიული მისამართი: ქ. ზუგდიდი,
ჭალადიდი ქ.66
სს „თი ბი სი ბანკი"
ს/კ 242741388
ა/ა GE83BT7847636050100001
დირექტორი

დანართი №1

საქონლის დასახელება

№	საქონლის დასახელება	განზ	რაოდ	ერთ. ფასი	საერთ. ფასი
2	ქვიშა 0-10	მ.კუბ.	16	54.54	872.64
4	ღორღი 10-18	მ.კუბ.	11	34.54	379.94
5	ღორღი 10-19	მ.კუბ.	5	39.54	197.7
	ჯამი:				1450.28

შემსყიდველი
შპს "ენგურჰესი"

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ლ. მებონია

მიმწოდებელი
შპს "სამშენებლო კომპანია ენგური +"

დირექტორი

გ. პრონია

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

,,--27--,,-------08-----“ 2018 წ.

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, №446/18-9 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, შპს "სამშენებლო კომპანია ენგური +"-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს "ენგურჰესი"-ს დირექტორთა
საბჭოს თავმჯდომარე ლ. მებონია

შპს ,,ენგურჰესი“-ს თ/კაშხლის დეპარტამენტის
შესყიდვების სპეციალისტი ზ. მებონია

შპს ,,ენგურჰესი“-ს შესყიდვებისა და მომარაგების
სამსახურის უფროსი ვ. მოლაშხია

საქონლის მიღება-ჩაბარების

ა ქ ტ ი

29.08.2018 წ.

ქ. ზუგდიდი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერებმა: შპს ,,ენგურჰესი" წარმოდგენილი მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე - ლ. მებონიამ და თ/კაშხლის დეპარტამენტის შესყიდვების სპეციოალისტმა - ბ. მებონიამ, ერთის მხრივ და შპს „სამშენებლო კომპანია ენგური +"- ს დირექტორმა - გ. არონიამ მეორეს მხრივ შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ რომ, მხარეთა შორის 2018 წლის 27 აგვისტოს გაფორმებული №446/18-9 ხელშეკრულების საფუძველზე თ/კაშხლის საწყობში შემოტანილიქნა შემდეგი დასახელების საქონელი (იხ. სასაქონლო ზედნადები № ელ-0399045117; ელ - 0399349562)

სულ მოწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს: 1450.28 (ათას ოთხას ორმოცდაათ ლარი და 28 თეთრი) ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახდების ჩათვლით.

რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

"შემსყიდველი"

შპს "ენგურჰესი"

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

_____ ლ. მებონია

"მიმწოდებელი"

შპს „სამშენებლო კომპანია ენგური +"

დირექტორი

_____ გ. არონია

თ/კაშხლის დეპარტამენტის შესყიდვებისა სპეციალისტი

_____ ბ. მებონია

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0399349562

2	29/08/2018

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	11:19:22

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს სამშენებლო კომპანია ენგური +	242741388
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(დღგ-ს გადამხდელი)

5	შპს ენგურჰესი	251716371
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	წალენჯიხა.ლია

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ჯვარი,ფოცხო ეწერი,ციმინტიას.1

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო
	ტრანსპორტირების სახე

10	DD474MM
	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X
მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	51001008928 თეიმურაზი ვეკუა

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 170

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ქვიშა 0-10	00007	მ³	5.0000	54.5400	272.7000
2	ღორღი 10-18	00008	მ³	5.0000	39.5400	197.7000

13	470.4 - ოთხას სამოცდაათი ლარი და ორმოცი თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	03/09/2018	10:15:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	უნაღდო

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 24/09/2018, 11:19:24

კორექტირების თარიღი: 27/08/2018 16:51:02

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0399045117

2	27/08/2018

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	14:39:29

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს სამშენებლო კომპანია ენგური +	242741388
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

(დღგ-ს გადამხდელი)

5	შპს ენგურჰესი	251716371
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	წალენჯიხა.ლია

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ჯვარი,ფოცხო ეწერი,ციმინტიას.1

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო
	ტრანსპორტირების სახე

10	XX763SS
	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X
მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	A0777674

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 320

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ქვიშა 0-10	00007	მ³	11.0000	54.5400	599.9400
2	ღორღი 10-18	00008	მ³	11.0000	34.5400	379.9400

13	979.88 - ცხრაას სამოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	29/08/2018	12:35:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	უნაღდო

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 24/09/2018, 11:20:11